აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ამერიკული საერთაშორისო პროგრამა

საშუალო საფეხური

შპს „ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

წევრები:

ცირა ნიკოლაშვილი

თბილისი
2022

ექსპერტთა ჯგუფის

თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი
დაწესებულების სახე	კერძო სამართლის სუბიექტი
საიდენტიფიკაციო კოდი	405119394

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	ამერიკული საერთაშორისო სკოლა American International School
პროგრამის საფეხური (ზოგადი განათლების საფეხური)	საშუალო
სწავლების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების ადგილ(ებ)ი (ქუჩა, N, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სასწავლო კორპუსის N (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N39 ქ.თბილისი საქართველო
პროგრამის სტატუსი (ახალი/ავტორიზებული/აკრედიტებული) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის რეზიუმე

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“ დაარსდა 2017 წელს, რომლის მიზანიც იყო ქართველი და უცხოელი მოსწავლეებისათვის ამერიკული განათლების პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების შეთავაზება. შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესი ამერიკის შეერთებული შტატების მააკრედიტერებელი ორგანიზაციის „AdvancED Education, Inc.“-ის, ამჟამად „Cognia, Inc.“ North Central Association of Colleges and Schools- ის (სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩრდილოეთისა და ცენტრალური შტატების ასოციაცია) მიერ აკრედიტებული სკოლა გახდა 2019 წელს, 5 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამა „ამერიკული საერთაშორისო სკოლა“ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითად სტანდარტებსა“ (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტებზე“ (Next Generation Science Standards) დაყრდნობითა არის შემუშავებული.
Common Core State Standards -ით სწავლება მიმდინარეობს აშშ-ს 41 შტატში, კოლუმბიის ოლქში და ამერიკის იურისდიქციის ოთხ ტერიტორიაზე. ასევე აშშ-ს თავდაცვის საგანმანათლებლო საქმიანობის დეპარტამენტი (DoDEA) აღნიშნულ სტანდარტებს, მსოფლიოს მასშტაბით არსებული საკუთარი სკოლების სასწავლო გეგმის საფუძვლად იყენებს. Next Generation Science Standards - კი მეცნიერებების სწავლების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სტანდარტებია აშშ-ში, რომლებიც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების ახალ, XXI საუკუნის გამოწვევებზე მორგებულ მიდგომებს ითვალისწინებს.

2021 წლის 5 ნოემბრის N1193424 თარიღით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაცემული იყო თანხმობა შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესის“ მიერ უცხოურენოვან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოპოვებისთვის ღონისძიებების გატარების შესახებ.

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი უცხოურენოვან კლასებშისწავლის პროცესში მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან კურიკულუმს, მაღალკვალიფიციურ კადრებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ და მზრუნველ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. სკოლის კურიკულუმი დაფუძნებულია ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი საფეხურის სტანდარტებზე. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს განსხვავებული საგნების არჩევანს.

2019 წელს, Cognia-ს წარმომადგენლების აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ სკოლამ მიიღო ანგარიში, რომელშიც დეტალურად იყო შეფასებული სკოლაში მიმდინარე პროცესები. წარმოდგენილ პროგრამას სკოლა-კოლეჯი სთავაზობდა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით.

შეფასების კომპონენტების მიხედვით Cognia-ს რეკომენდაციების საფუძველზე ამერიკული საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესის“ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს განახორციელოს ისეთი სასწავლო პროცესი, რომელიც მორგებული იქნება ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე გადახედოს და განაახლოს სასწავლო პროგრამები და კურიკულუმები, რომელებიც უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანია ასევე დაინერგოს ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მოსწავლეებს ჰყავდეთ უფროსები/თანატოლები, რომლებიც მხარს დაუჭერენ მათ საგანმანათლებლო გამოცდილებას.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და ორგანიზაციული ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ უნდა დანერგოს ციფრული რესურსების ეფექტური ინტეგრირება სწავლა სწავლების პროცესში.

მნიშვნელოვანია ასევე სკოლა ახორციელებდეს სამსახურში აყვანისა და მენტორობის პროგრამას და ეხმარებოდეს ყველა ახალ მასწავლებელს პროფესიული უნარების განვითარებაში. რეგულარულად დაესწროს პროფესიულ შეხვედრეს, ტრენინგებს და სამუშაოშეხვედრებს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შემუშავებული ,,საერთო ძირითად სტანდარტებსა" (Common Core State Standards) და ,,მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტების" (Next Generation Science Standards) შესწავლით, ასევე ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესის" მიერ წარმოდგენილი პროგრამის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამა „ამერიკული საერთაშორისო სკოლა" არ ეწინააღმდეგება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ძირითად შემთხვევაში თავსებადია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის „ამერიკული საერთაშორისო სკოლის" ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურები განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2022 წლის 9-10 მარტს, ხოლო სკოლაში პირისპირ ვიზიტი 10 მარტს დღის მეორე ნახევარში. ექსპერტები დეტალურად გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხის მიღების მიზნით ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო საზოგადოების წევრებთან, სასწავლო გეგმის შემუშავებაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება/ინტერვიუირება. ასევე განხორციელდა ონლაინ შეხვედრა VIII-XII კლასის მოსწავლეებთან და I-XII კლასის მოსწავლეთა მშობლებთან. სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იყო შემდეგი მოთხოვნილი დოკუმენტაცია:

1. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
2. ფინალური გამოცდის ჩატარების წესის პროექტი;
3. მასწავლებლების ბაზა;
4. მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა;
5. ბრძანება ზეგანაკვეთური სამუშაოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
6. ბრძანება გამოსაცდელი ვადის წარმატებით გავლისა და შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ;
7. არსებული სიტუაციის ანალიზი მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის ტენდენციის შესახებ. სასწავლო პროცესის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი;
8. მასწავლებლის ინგლისურ ენაზე სწავლების დამადასტურებელი სერტიფიკატების ჩამონათვალი და შესაბამისი სერტიფიკატები;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დაწესებულების საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი.

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
- **რჩევები (არსებობის შემთხვევაში)**

სასკოლო სასწავლო გეგმის 2022-2023 სასწავლო წლის პროექტის საათობრივ ბადეში წარმოდგენილი საგნები (STEM, მომავლის პროფესიები, ბიზნეს-უნარები, ლიდერობა, აკადემიური წერა, SAT, PBL, წიგნიერება, მედიაწიგნიერება, IELTS, AP Language Art and Composition, AP American History, AP Macro/ Micro Economics, AP USA Government and Politics, AP Human Geography, AP Calculus, AP German Language and Culture) გაწერილი იყოს რომელ კათედრას განეკუთვნება, რაც დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების	☒	☐	☐	☐

შეფასების ადეკვატურობა				
3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

პროგრამის შესაბამისობის შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1. საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულების მისიაში ასახული საერთო პრინციპებისა და პრიორიტეტების, ასევე ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე, ითვალისწინებს ამ მიზნის მიღწევის გზებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ,,ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის“ სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამება სკოლის მისიას. იზიარებს მისიაში გაცხადებულ ღირებულებებს, რომელებიც შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ამ მიზნების მიღწევისათვის სკოლა-კოლეჯი „პროგრესის“ სასწავლო გეგმაში ნათლად ჩანს როგორ იზიარებს ამერიკული განათლების სისტემის წარმატებულ გამოცდილებას და სასწავლო პროცესი დაფუძნებულია აშშ განათლების სტანდარტებზე - “Common Core State Standards” (საერთო ძირითადი სტანდარტები) და “Next Generation Science Standards” (მომავალი თაობის მეცნიერებათა სტანდარტები). ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმებად იყენებს - CIS-ისა (საერთაშორისო სკოლების საბჭო) და Cognia-ს აკრედიტაციას, რომელიც მუდმივ სპირალურ განვითარების უწყობს ხელს. 2019 წელს Cognia-ს აკრედიტაციის შედეგად ამერიკულმა საერთაშორისო სკოლა-კოლეჯმა პროგრესმა მიიღო შეფასება 260.50 მაქსიმალური 400.0-დან (2024 წელს კვლავ უწევს შეფასება 2023 წლის თვითშეფასების საფუძველზე). დაწესებულება განსაკუთრებულად ზრუნავს მოსწავლის მხარდაჭერასა და მის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, სადაც თითოეული მოსწავლის საჭიროებების ხელშეწყობა და განვითარებაა პრიორიტეტი.

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესის“ მისიიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანია მოზარდის განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომელიც დაეხმარება მათ ცვალებად, მუდმივად და სწრაფად განვითარებად სამყაროში ადაპტირებას, საკუთარი ადგილის მოძებნასა და დამკვიდრებას. ამისათვის სკოლას როგორც სასკოლო სასწავლო გეგმაში ისევე სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული აქვს აქტივობები, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური მიმართულებით. ამ დამოკიდებულებებითა და მიდგომებით სკოლა წაახალისებს დამოუკიდებლად სწავლას და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაითავისონ პასუხისმგებლობა.

ამერიკულ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში სკოლა ქმნის მნიშვნელოვანი აკადემიური გამოწვევებით აღსავსე გარემოს, სადაც მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შეისწავლონ არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საგნები, რომლებიც გაერთიანებულია შემდეგ საგნობრივ ჯგუფში (ქართული ენა; მათემატიკა და ტექნოლოგიები; უცხოური ენები; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; საზოგადოებრივი მეცნიერებები; ესთეტიკა და სპორტი), არამედ შემდეგი საგნები: ამერიკის კულტურა და ისტორია, ინგლისური ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, SAT, IELTS. რომლის არჩევის საშუალება 2019-2020 სასწავლო წლიდან ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის მოსწავლეებს მე-11 და მე-12 კლასებში ჰქონდათ, დამატებითი მომსახურების სახით.

ვიზიტის პერიოდში გავეცანით წლების სტატისტიკას, კურსდამთავრებულების მიერ საერთაშორისო უნივერსიტეტებში მოპოვებული დაფინანსებების მაჩვენებლებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროგრამით მიღებული ცოდნა და უნარები ზრდის სკოლის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო დონეზე და ხელს უწყობს უნივერსიტეტებში მიღების პროცესს.

ახალი ცოდნის შეძენის, ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების, მუდმივი განვითარებისკენ სწრაფვა - ეს ის მიდგომებია, რომელიც ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯისათვის პრიორიტეტულია და რომელიც არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეების მიმართ არამედ, თითოეული თანამშრომლისათვისაა მნიშვნელოვანი.

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯის მასწავლებლებიც და ადმინისტრაციული გუნდის წევრებიც ჩართულები არიან უწყვეტი პროფესიული

განვითარების სქემებში სკოლის, ქვეყნის თუ საერთაშორისო მასშტაბით. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაციით:

- პროფესიული განვითარების გეგმა (რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის აქტივობები),
- ELEOT დაკვირვების ფორმა,
- თანამშრომელთა შეფასების სისტემა-360 გრადუსიანი შეფასების მოდელი.

ტექნოლოგიურად სწრაფად განვითარებად სამყაროში სკოლა მოსწავლეებისათვის ცდილობს სკოლის ასაკიდანვე ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და პროგრამებზე წვდომის ხელშემწყობი პირობების შექმნას. ინოვაციების, სიახლეების დანერგვა ამერიკული საერთაშორისო სკოლა- კოლეჯ პროგრესის ერთერთი გამჭოლი პრიორიტეტია. სკოლაში დაწყებულია სასწავლო რესურსების და პროცესების გაციფრულება, სკოლის „ტექნოლოგიების განვითარების დებულებ“ -ის და განხორციელებული აქტივობების თანახმად, აქტიურად მიმდინარეობდა მასწავლებელთა ტრენინგების ორგანიზება მათი ციფრული კომპეტენციების განვითარების მიზნით, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესის წარმატებით განხორციელებას.

სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ ციფრული კომპეტენციების მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს ციფრული ტექნოლოგიების პასუხისმგებლობით გამოყენებას სწავლა-სწავლებასა და შრომით საქმიანობაში. შესაბამისად სასწავლო და სამუშაო პროცესში ამ კომპეტენციასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები და აქტივობები. მოსწავლეებს საშუალება აქვთ შეისწავლონ სხვადასხვა მოწყობილობის, კომპიუტერული პროგრამისა და ქსელის საბაზო ფუნქციები და მათი გამოყენება.

სკოლის მოსწავლეები ეუფლებიან პროგრამირების საწყისებს, iOS ოპერაციულ სისტემებს. რაც მათ ეხმარება, ინტერესებიდან გამომდინარე,საგანმანათლებლო თამაშებისა თუ სხვა ციფრული პროდუქტის შექმნაში.

მოსწავლეებს საშუალება აქვთ და იღებენ STEM განათლებას, რისთვისაც შესაბამისი სივრცეებია სკოლაში. STEM განათლებას ისინი სკოლის კედლების გარეთაც იღებენ. შესწავლა ხდება მომავლის პროფესიების და PBL-სთან ინტეგრაციაში ახორციელებენ მრავალფეროვან პროექტებს (რაც სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულებების სახით).

სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებაზე. მოქალაქეობის კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით მოსწავლეები მონაწილეობენ საზოგადოებრივი საქმიანობის კუთხით დაგეგმილ აქტივობებსა და ღონისძიებებში, რის საფუძველზეც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაიაზრონ და გააცნობიერონ საზოგადოებრივი პასუხისმგელობა. სასკოლო საზოგადოება მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც მონაწილეობენ გარემოსდაცვითი თუ სოციალურ პროექტში, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით.

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესში 20-ზე მეტი ეროვნების მოსწავლე სწავლობს, რაც ხელს უწყობს მულტიკულტურულ გარემოში თანაცხოვრებას, განსხვავებული კულტურის პატივისცემას, ტოლერანტობას.
ინტერკულტურული და მულტიკულტურული სწავლება, ტოლერანტი მოქალაქეობის ხელშეწყობა სკოლის სასწავლო გეგმის, კლასგარეშე აქტივობებშია ასახული.

ცოდნის შეძენის, მუდმივი განვითარებისაკენ სწრაფვის ხელშესაწყობად 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში და მოსწავლის შეფასების დოკუმენტში წარმოდგენილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების პროგრესის მონიტორინგი MAP (Measure of Academic Progress - აკადემიური პროგრესის საზომი) გამოცდების საშუალებით წელიწადში ორჯერ (დეკემბერი, ივნისი), რაც ითვალისწინებს მოსწავლეთა რეფლექსიას საკუთარ სწავლაზე, გაუმჯობესების გეგმის შედგენას და მის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებას.

შესწავლილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული საერთაშორისო სკოლის პროგრამა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან და დაწესებულების მისიაში ასახული პრინციპებისა და პრიორიტეტებიდან გამომდინარე მიმართულია მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაზე და ითვალისწინებს არსებული მიზნების მიღწევის გზებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სკოლის მისია
- სკოლის შინაგანაწესი
- სკოლის ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ბრძანება/დადგენილება)
- Cognia-ს აკრედიტაციის სერტიფიკატი
- ტექნოლოგიების დებულება
- სკოლის პრეზენტაცია
- სკოლის სამოქმედო გეგმ
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. საგანმანათლებლო პროგრამა სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის საგანმანათლებლო პროგრამის „ამერიკული საერთაშორისო სკოლა“ სწავლის შედეგები შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს, რომლებითაც მოსწავლე იქნება აღჭურვილი პროგრამის განხორციელების შედეგად. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს პრაქტიკული და კვლევითი უნარები, წარმოაჩინოს დამოკიდებულებები ყოველდღიურობაში.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებული და განხორციელებული სასწავლო გეგმები გაივლის რევიზიას ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. ანალიზისა და შეჯამების საფუძველზე მოხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, სახელმძღვანელოებისა და რესურსების შერჩევა, პროგრამის და კლასგარეშე ღონისძიებების მიზნების მისაღწევი აქტივობების, პროფესიული

განვითარების საჭიროებების განსაზღვრა, შესაბამისი ღონისძიებების დადგენა, გეგმების გადახედვა- გადამუშავება გამოვლენილი, დადგენილისაჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს საგნობრივი კათედრების აქტიური მუშაობა, რომლებიც პროგრამის მიზნების მისაღწევად გამოიყენებს შექმნილ და გაზიარებულ ციფრულ რესურსს.
კათედრები როგორც გეგმიურად ასევე, საჭიროების მიხედვით განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოსწავლეთა მიმდინარე აკადემიური მოსწრება, პროგრესის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების აქტივობების ანალიზი, მოსწავლეთა მხარდაჭერა.

ამერიკული საერთაშორისო პროგრამის მიზნები დაყოფილია რამდენიმე ეტაპად: დაწყებითი I-VI, საშუალო სკოლის წინარე მოსამზადებელი VII- IX კლასი და საშუალო სკოლის X-XII კლასები.

X-XII კლასები განიხილება საშუალო საფეხურად. საშუალო საფეხურზე ამერიკული საერთაშორისო პროგრამის მიზნებია: სისტემური ცოდნის კონსტრუირება საგნების გაღრმავებულად სწავლების შედეგად და ცოდნის მაძიებელი, მოაზროვნე ინდივიდის ჩამოყალიბება, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება სწავლის შემდგომ საფეხურზე და რომელსაც შეეძლება საკუთარი ცოდნის და უნარების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

ამერიკული საერთაშორისო სკოლის პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია: 2 ჯუნიორ (Junior Projects) (3500 სიტყვიანი) და სენიორ (Senior Project) (5000 სიტყვიანი) პროექტის მომზადება VII- XI კლასებში. თითოეულ მოსწავლეს მოეთხოვება თავისი ინტერესის სფეროს მიხედვით, კვლევითი ნაშრომის დაწერა და შემდეგ მისი საჯარო დაცვა. რასაც ხელს უწყობს PBL-ის დანერგვა სასწავლო პროცესში. პროექტები მოსწავლეებს უყალიბებენ ანალიტიკურ აზროვნებას და უვითარებენ კვლევის უნარს.

პროგრამა არ მოდის წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ადაპტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამერიკულ საერთაშორისო სკოლაში სწავლების ენა ინგლისურია.

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართული ენა და ლიტერატურა სავალდებულო საგანია ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის ამერიკული საერთაშორისო სკოლის სასწავლო ბადეში, ყველა კლასში საგანს ეთმობა კვირაში 3 საათი და დამატებით მსურველს შეუძლია კიდევ 1 საათი შეარჩიოს, როგორც დამატებითი მომსახურება. სკოლაში შესასწავლი მასალა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მთლიანად მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამას. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები ქართულს, როგორც მეორე ენას, შეისწავლიან. იმ მოსწავლეებისათვის ვისთვისაც ქართული ენა მშობლიურია ესგ-ს მიხედვით, როგორც მშობლიურ ენას პრინციპით შეისწავლიან სურვილის

შემთხვევაში, რაც წარმოადგენს დიფერენცირებული მიდგომების არსებობას და თითოეული მოსწავლის ინტერესის გათვალისწინებას.

ინგლისური ენა

ინგლისური ენა სავალდებულო საგანია (X და XII კლასებში - 5სთ, XIკლასში-6 საათი), რომლის მიზანია განუვითაროს მოსწავლეს ინგლისურ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის და აზროვნების უნარები. საკლასო დისკუსიების, კითხვის და მრავალფეროვანი წერითი დავალებების საშუალებით მოსწავლეები კიდევ უფრო აღრმავებენ მათ მიერ შესწავლილი მასალის ცოდნას. საკლასო დისკუსიების დროს მოსწავლეებს მოეთხოვებათ სათანადო ლექსიკის მართებული გამოყენება.

X-XII კლასში ისწავლება სხვადასხვა ჟანრის პოეზია და პროზა, თხზულებები და პუბლიკაციები. კურსი მოსწავლეებს სთავაზობს მრავლისმომცველ ლიტერატურულ სიმდიდრეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, პერიოდისა და სირთულის კატეგორიით. სასწავლო სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეები ხვეწენ ტექსტის მხატვრულად გააზრებისა და წერით უნარებს.

წერილობით ასპექტში მოსწავლეები მუშაობენ შემდეგზე: არგუმენტირებული ესე, მხატვრული ესე, ნარატიული ესე, კრიტიკა, ანალიტიკური მსჯელობა, კვლევითი ანალიზი. მოცემული დისციპლინა მოსწავლეებს ეხმარება განავითარონ კრიტიკული აზროვნება და სამსჯელო საკითხი გადმოსცენ წერილობითი ფორმით, შესაბამისი აკადემიური წლის (კურსის) სირთულის გათვალისწინებით. კურსის სილაბუსში შესული ადრეული ამერიკული ლიტერატურის ნიმუშები შეიცავს აგრეთვე დღიურებს, წერილებს, ქადაგებებს და ალმანახებს. შესაბამისად, მოსწავლეებს აქვთ საშუალება გაანალიზონ ისტორიული და ინფორმაციული ტექსტები .

წერითი დავალებები მოიცავს ფართოფორმატიანი ესეების და კვლევების წერას. მოსწავლეები გაეცნობიან ევროპული ამერიკული ლიტერატურის ძირითად ნაშრომებს და მათში მოცემულ იდეებს, დახვეწენ ლიტერატურული ანალიზის და კვლევის წერის ტექნიკას.

კურსი ასევე მოიცავს რიგით გრამატიკულ საკითხებს რომელიც უცხო ენის სპეციფიურ თავისებურებებზეა გათვლილი, ამგვარად მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ დახვეწონ და განავითარონ ენობრივი რესურსი. წარმოდგენილი კურსი ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს.

მათემატიკა

მათემატიკა ისწავლება ყველა კლასში (5საათი). კურსი შეესაბამება ამერიკული შეერთებული შტატების მათემატიკის კურსს (ალგებრა 1, ალგებრა 2, გეომეტრია) და აგებულია „Common Core State Standards" სტანდარტების შესაბამისად, რის გავლის შედეგადაც მოსწავლე მოემზადება საუნივერსიტეტო კურსების შესასწავლად.

X კლასში ისწავლება ალგებრა 2-ის საკითხები კურსი წარმოადგენს ალგებრა 1-ის (ისწავლება VIII და IX კლასებში) გაგრძელებას და ის თავს უყრის წინარე ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ ცოდნას. კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: რაციონალური, ირაციონალური ფუნქციები და მათი გრაფიკები, მოქმედებები სიმრავლეებზე, ექსპონენციალური და ლოგარითმული ფუნქციები, კომპლექსური რიცხვები და მათზე მოქმედებები, მოქმედებები ხარისხებზე, ლოგარითმი და მისი თვისებები, სხვადასხვა სახის

განტოლებების ამოხსნა, ტრიგონომეტრიის ზოგიერთი ფორმულა და მათი გამოყენება, მიმდევრობები, კომბინატორიკის და ალბათობის საკითხები.
XI კლასში ისწავლება პრეკალკულუსი. კურსში შეისწავლება ყველა ელემენტარული ფუნქცია მისი თვისებები და გრაფიკი. შეისწავლება ვექტორები (სიბრტყეზე და სივრცეში), მიმდევრობები (არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები), მატრიცები და მათზე მოქმედებები, ტრიგონომეტრიის გაგრძელება, გეომეტრიული გარდაქმნები.
XII კლასში ისწავლება პრეკალკულუსის გაგრძელება. კურსში ისწავლება უკვე ნასწავლი ფუნქციების გამოყენებით სხვადასხვა რეალური ცხოვრებისეული მოდელების შექმნა. რეალურ სიტუაციებზე დაყრდნობილი ამოცანების ამოხსნა. შეისწავლება ფუნქციების ასიმპტოტური ყოფაქცევა. შეისწავლება ფუნქციების თვისებების შესწავლა. პარამეტრული განტოლებების და უტოლობების შესწავლა. შეისწავლება კომბინატორული ანალიზის საკითხები, ზოგიერთი ალბათური განაწილების სტატისტიკის საკითხები, პარამეტრული განტოლებები და პოლარული კოორდინატები.
წარმოდგენილი კურსი ფარავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს.

უცხოური ენები

უცხოური ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ესპანური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა. შეთავაზებული 3 ენიდან მოსწავლეები/ მშობლები მეორე კლასიდან ირჩევენ ერთ უცხო ენას. ასევე შესაძლებელია დამატებით აირჩიონ როგორც არჩევითი საგანი დარჩენილი ორიდან ერთ- ერთი. მაგალითად თუ მე-2 კლასში აირჩია ესპანური, რომელსაც მე-12 კლასის ბოლომდე ისწავლის, მე-10 დან შეუძლია აირჩიოს ან გერმანული ან რუსული ენა და მე-12 კლასის ბოლომდე ისწავლოს. ასევე არჩევითი საგანია გერმანული ენა და კულტურა (AP German Language and Culture)

უცხოური ენების სწავლებამ მოსწავლეს უნდა განუვითაროს სახელმწიფო ენასთან ერთად სხვა ენაზე კომუნიკაციის უნარი. უცხოური ენების საგნობრივი ჯგუფის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ წერილობითი და ზეპირი ფორმით კომუნიკაცია უცხოურ ენაზე/ენებზე.
უცხოური ენის საგნობრივი სტანდარტები შედგენილია ენის ფლობის დონეების მიხედვით. X-XIIკლასებში საშუალო და მაღალი დონე.
კურსის ფარგლებში მოსწავლეებს ვთავაზობთ ენის სწავლებას სხვადასხვა მიმართულებით: მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება. მოსწავლეებს მოეთხოვებათ სხვადასხვა ტიპის და შინაარსის ტექსტების უფრო ამომწურავად გაგება და გაანალიზება, რომელთა მოცულობა და სირთულის დონე აღემატება წინა დონის ტექსტებს. ივითარებენ კომუნიკაციის უნარებს როგორიცაა: მოსმენა, კითხვა, მეტყველება და წერა. შეთავაზებული აქტივობებით ისინი სწავლობენ ინტერპრეტირებას, პრეზენტაციას, ინტრა და ინტერპერსონალურ კომუნიკაციას. მოსწავლეებს უვითარდებათ ანალიზის და კრიტიკული აზროვნების უნარები, რისთვისაც გათვალისწინებულია სწავლების განსხვავებული ფორმები, აქტივობები და მასალები.
ყოველი თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეები ფასდებიან სხვადასხვა დავალებებით, რომელიც აფასებენ ენობრივ ოთხივე კომპეტენციას.
მაღალი დონის კურსი მოიცავს ქვეყნის ცივილიზაციის შესწავლას: მის გეოგრაფიულ მდებარეობას, კულტურის ძეგლებს, ცნობილ ადამიანებს, მხატვრებს, მწერლებს, ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ჩვევებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებები

ამერიკულ უმაღლეს სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების დისციპლინებიდან სრული კურსით ისწავლება შემდეგი საგნები: სავალდებულო- მსოფლიოს ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია. არჩევითი საგნები შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად CollegeBoard-ის მიერ - ამერიკის ისტორია(AP American History), ამერიკის მმართველობა და პოლიტიკა (AP US Government and Politics), საზოგადოებრივი გეოგრაფია(AP Human Geography)

მსოფლიო ისტორიის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიას 1500-იანი წლებიდან დღემდე. რაც შეეხება თემატიკას, კურსის განმავლობაში ისინი ძირითადად ფოკუსირებული იქნებიან შემდეგ საკითხებზე: რენესანსი და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, ლუთერი და პროტესტანტული რეფორმაცია, რელიგიური ომები, ინგლისის სამოქალაქო ომი და უსისხლო რევოლუცია, მმართველობაში აბსოლუტისტური მიდგომა, რევოლუციისა და განმანათლებლობის ეპოქა, საფრანგეთის რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციის შედეგები ნაპოლეონის აღზევება, ბატონობა და მარცხი, ინდუსტრიალიზაცია, კონფლიქტები, ცივი ომი, დეკოლონიზაცია და გლობალიზაცია. საქართველოს ისტორიის საკითხები ისწავლება მსოფლიო ისტორიის კონტექსტში უძველესი დროიდან დღემდე. მოსწავლეები გამოიკვლევენ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ, კულტურის ისტორიას, ასევე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. მოსწავლეები კურსს შეისწავლიან სხვადასხვა საისტორიო წყაროების კვლევის შედეგად. კურსის დასრულების ბოლოს მოსწავლეები გაიაზრებენ საქართველოს როლსა და ადგილს მსოფლიო ისტორიაში.

მსოფლიო ისტორია კურსის განმავლობაში მოსწავლეები ძირითადად ფოკუსირებული იქნებიან შემდეგ საკითხებზე: ა) პოლიტიკური განვითარება ბ) ეკონომიკური და კომერციული განვითარება, გ) კულტურული და ინტელექტუალური განვითარება, დ) სახელმწიფოები და ძალაუფლების სხვა ინსტიტუტები, ე) სოციალური ორგანიზაცია და განვითარება, ვ) ეროვნული და ევროპული იდენტობა, ზ) ტექნოლოგიური და სამეცნიერო განვითარება.

ამერიკის ისტორიის კურსის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ აშშ-ს ისტორიას დასაბამიდან 1877 წლამდე და 1877 წლიდან დღემდე. პირველ სემესტრში კურსის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლისის ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომს, აშშ-ს ომეს მექსიკასთან, სამოქალაქო ომსა და რეკონსტრუქციის პერიოდს, აშშ-ს საზოგადოებრივ და კულტურულ განვითარებას.

კურსის განმავლობაში მოსწავლეები ასევე გააცნობიერებენ: აშშ-ის მეოცე საუკუნის ისტორიის თავისებურებებს, გაერკვევიან თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებაში, დაინახავენ თანამედროვე ამერიკის კავშირს ტრადიციებთან. გაერკვევიან მეოცე საუკუნის ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეების საქმიანობაში. ექნებათ წარმოდგენა მეოცე საუკუნის ამერიკის ისტორიის პრობლემების შესახებ. კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ექნებათ აშშ-ის ისტორიის საბაზო ცოდნა.

კურსი ფოკუსირებულია ამერიკის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ამერიკული ღირებულებები, ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლები, ეკონომიკური სისტემა და სოციალური ურთიერთობები, კულტურა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და აღმოჩენები.

AP ამერიკის მმართველობისა და პოლიტიკის კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან აშშ-ს ქვეყნის მმართველობას და პოლიტიკას, რომლის ძირითადი თემებია: ძალაუფლება და ხელისუფლება, ლეგიტიმაცია და სტაბილურობა, დემოკრატიზაცია, შიდა და გარე ფაქტორები, პოლიტიკური ანალიზის მეთოდები.

საზოგადოებრივი გეოგრაფია(AP Human Geography) მიზანია საზოგადოებრივი გეოგრაფიის კურსის მიზანია გააცნოს მოსწავლეებს ბუნებაში პრაქტიკული პროცესების სისტემატიური შესწავლა, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ადამიანის გაგება, ცნობიერება, ქმედება და ქმედებებზე დაფუძნებით დედამიწის ზედაპირის ბუნების ცვლილება.
მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სივრცულ კონცეფციებს და ლანდშაფტის ანალიზს ადამიანის სოციალური ორგანიზაციისა და მისი გარემოსდაცვითი შედეგების შესასწავლად.
კურსის ძირითადი მიზანია მოსწავლეებს მისცეს საშუალება:
რუქებისა და სივრცითი მონაცემების გამოყენებით მოსწავლეს მისცეს ადამიანების, ადგილების და ორგანიზაციების განსაზღვრის საშუალება;
მოახდინოს იმ მონაცემთა იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ რეგიონების ბუნებრივ და პოლიტიკური საზღვრების განსაზღვრაზე;
განსაზღვროს და დაადგინოს სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბები;
შეისწაცლოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ფიზიკური სისტემების გავლენა ადამიანთა გეოგრაფიაზე;
გამოიკვლიოს ადამიანის ქმედების ეფექტი საცხოვრებელ გარემოზე;
გამოიყენოს სოციალური კვლევების უნარები სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციითა და გამოყენებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა აერთიანებს სამ მიმართულებას: ფიზიკას, ბიოლოგიასა და ქიმიას. უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს, ხელს უწყობს სწავლის ხარისხის ამაღლებას თანამედროვე პედაგოგიური მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. სკოლის და უნივერსიტეტისა (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ლაბორატორიებში მოსწავლეეებს საშუალება ეძლევათ, ჩაერთონ ინდივიდუალურ სამეცნიერო კვლევებში და შექმნან საკუთარი პროექტები, რომლებიც გაუადვილებთ მათ ღირსეულად გაართვან თავი სწრაფად ცვალებადი სამყაროს გამოწვევებს.
საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მიზანია განუვითაროს მოსწავლეებს კვლევა-ძიების, დამოუკიდებლად ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების, სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზის და შეფასების, მიღებული ცოდნის გამოყენებისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები; ჩამოუყალიბოს თვითშეფასების, თვითკონტროლისა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, რათა შეძლოს საზოგადოებაში ინტეგრირება.
საბუნებისმეტყველო ამერიკული საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში X-XII შემდეგი პრინციპით ისწავლება X-XI კლასებში - ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია 2კვ. სთ.
ბიოლოგიის კურსი მოიცავს შემდეგი საკითხებს: ბიოლოგიის მნიშვნელობა, მოლეკულური ბიოლოგია, ორგანული ნივთიერებები (ცილები, ცხიმები ნახშირწყლები, ენზიმები, ნუკლეინის მჟავები); უჯრედის ქიმიური შემადგენლობა, მისი სტრუქტურული კომპონენტები, უჯრედის ზრდა განვითარება, გენეტიკა, ევოლუცია, ეკოლოგია, კლასიფიკაცია და მრავალფეროვნება (ვირუსები, პროკარიოტები, ეუკარიოუტები),

მცენარეების და ცხოველების სტრუქტურა და ფუნქცია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია; ბიოტექნოლოგიის მიღწევები, გენური ინჟინერია, ევოლუციის პრინციპები; კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ბიოლოგიის საშუალოს სკოლის ცოდნას.
ქიმიის კურსი მოიცავს ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმიის ყველა იმ ძირითად საკითხს, რომელთა დაუფლებაც საშუალებას მისცემს მოსწავლეს სრულყოფილად მოემზადოს საუნივერსიტეტო პროგრამისთვის. ქიმიის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქიმიის საგანი და მნიშვნელობა, ნივთიერება და ენერგია, ატომის აღნაგობა, კვანტური რიცხვები, პერიოდულობის ცხრილი ატომის აღნაგობასთან კავშირში, ქიმიური ბმის ტიპები; სტექიომეტრია, ქიმიური რეაქციის სიჩქარე, ქიმიური წონასწორობა, მჟავები და ფუძეები, ელექტროლიტური დისოციაცია, ჟანგვა - აღდგენითი რეაქციები, ელექტროლიზი, თერმოქიმია, აირების კანონები, მთავარი ჯგუფების ელემენტების ზოგადი მიმოხილვა, ორგანული ქიმიის მნიშვნელობა, ორგანული ნაერთების ცალკეული წარმომადგენლები, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების განხილვა და მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეებში კვლევის უნარების განვითარებას, ანუ ექსპერიმენტების დაგეგმვას, მათი უსაფრთხოდა ჩატარებასა და მიღებული შედეგების დამუშავებასა და ანალიზს, ასევე ინფორმაციის მოძიებას სხვადასხვა გლობალურ პრობლემაზე, მათი გამომწვევი მიზეზებისა და გადაჭრის გზების ძიება.
ქიმიის კურსის მიზანია მოსწავლეს გაუჩნდეს ინტერესი ბუნებაში მიმდინარე ქიმიური მოვლენების შესწავლის მიმართ, შეძლოს ბუნებაში მიმდინარე კანონზომიერებების გაანალიზება და ახსნა, გაითავისოს მწვანე ქიმიის პრინციპები და იზრუნოს გარემოზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ტექნოლოგიების მიღწევების ყოველდღიურობასთან და სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირება; კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ქიმიის საშუალოს სკოლის ცოდნას.

ფიზიკის კურსის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი შესაძლებლობების, კვლევითი უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ:
ფიზიკის ამოცანების გაგება/გააზრება და შესაბამისი მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მათი ამოხსნა;
მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ფიზიკის ამოცანების ანალიზი და მიღებული შედეგების ფიზიკური ინტერპრეტაცია;
ცდების ჩატარება, მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია ცდომილებების გამოანგარიშების ჩათვლით;
დაგროვილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.
მოსწავლეებს ეძლევათ ლაბორატორიული კვლევის თემა, მოკლე აღწერა და საჭირო ხელსაწყოები. მათ აქვთ შესაძლებლობა თვითონ შეარჩიონ თემა, დიზაინი. ისინი ატარებენ გაზომვებს და ამუშავებენ ცდის მონაცემებს როგორც რიცხობრივად, ასე გრაფიკულად. კვლევის ანგარიში უნდა მოიცავდეს: ამოცანის დასმას/კვლევის მიზანს; ცდის მსვლელობის აღწერილობას;
გაზომვებით მიღებულ დანათვლებს, მონაცემთა დამუშავების აღწერილობას და შედეგების ანალიზს, დასკვნას ცდით გაზომილი სიდიდეების ცდომილებების ანალიზის ჩათვლით.

ფიზიკის კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: თანაბარ აჩქარებული მოძრაობის გრაფიკული წარმოდგენა, ვექტორები, მათი გეგმილები და ურთიერთკავშირი, კუთხით გასროლილი გასროლილი სხეულების მოძრაობის კინემატიკა; ნიუტონის პირველი კანონი, ინერცია, ინერციული ათვლის სისტემები; ნიუტონის კანონები; დრეკადობის ზალა - ჰულის კანონი,

დაჭიმულობის ძალები; გრავიტაციის უნივერსალური კანონი, პლანეტებისა და თანამგზავრების მოძრაობა, ორბიტალური სიჩქარე, კოსმოსური სიჩქარეები; კეპლერის კანონები; ელექტრობა, მუდმივი და ცვლადი დენი; ენერგია, ენერგიის გარდაქმნა და ენერგიის მუდმივობის კანონი როგორც ბუნების უნივერსალური კანონი, იმპულსი და ძალა, იმპულსის მუდმივობის კანონი, სტატიკური წონასწორობა, გადატანითი მოძრაობის წონასწორობის პირობები; სიმკვრივე, ხვედრითი წონა; სითხეებში და აირებში მოძრაობა - ბერნულის განტოლება, პასკალის კანონი, სითხეში ჩაძირული სხეული და არქიმედის კანონი; მილევადი და იძულებითი რხევები, რეზონანს; ატომის აგებულება; იდეალური აირების კანონები; თერმოდინამიკის კანონები; ელექტრული მუხტი, სხეულების დამუხტვა, მუხტები; ელექტრული მუხტის მუდმივობის კანონი, ტენიანობა, აბსოლუტური და ფარდობითი ტენიანობა, ტევადობა, კონდენსატორები, ომის კანონი წრედის უბნისათვის; დენის წყაროები, ემძ; კუთრი წინაღობა, ელექტროლიზი, ფარადეის კანონები, გალვანური ელემენტი, მაგნიტური ველი; სინათლის გავრცელება; ოპტიკა;
კურსის ბოლოს მოსწავლეები ღებულობენ ფიზიკის საშუალოს სკოლის ცოდნას.

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება გაღრმავებული კურსის მსურველებისათვის AP ბიოლოგიის, AP ქიმიის, AP ფიზიკის (სიღრმისეულად ისწავლება ზემოთ აღნიშნული საკითხები დამატებით სხვა საკითხებთან ერთად. თითოეული საგანი შედგენილია და ავტორიზებულია ოფიციალურად **CollegeBoard**-ის მიერ) შეთავაზების შესაძლებლობა,

ტექნოლოგიები მიმართულებით X-XII კლასებში სხვა სავალდებულო საგანი გარდა მედია წიგნიერებისა არ ისწავლება, თუმცა მოიაზრებს ყველა საგნობრივ ჯგუფთან გამჭოლ კომპეტენციად არსებობას და ტექნოლოგიების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობას.

სპორტი
სპორტის საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი- ფიზიკური აღზრდა სპორტი (ისწავლება X -XII კლასებში).
სპორტის სწავლების მიზანია, ჩააბას მოსწავლე ფიზიკურ აქტივობებში და ამ გზით შეუწყოს ხელი მის ფიზიკურ განვითარებას, ასევე, საგნის სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლემ გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამა „ამერიკული საერთაშორისო სკოლა“ სწავლების შესაბამისი საფეხურისათვის უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კლასის პროგრესის ანალიზის ნიმუში;

- 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასკოლოს სასწავლო გეგმის 2022-2023 სასწავლო წლის პროექტის საათობრივ ბადეში წარმოდგენილი საგნები გაწერილი იყოს რომელ კათედრას მიეკუთვნება, რაც დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

1. STEM
2. მომავლის პროფესიები
3. ბიზნეს-უნარები
4. ლიდერობა
5. აკადემიური წერა
6. SAT
7. PBL
8. წიგნიერება
9. მედიაწიგნიერება
10. IELTS
11. AP Language Art and Composition
12. AP American History
13. AP Macro/ Micro Economics
14. AP USA Government and Politics
15. AP Human Geography
16. AP Calculus
17. AP German Language and Culture

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3. საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის საგნობრივი პროგრამები/კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეებში კვლევისა და პრობლემების გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. კვლევითი საკითხები წარმოდგენილია სასკოლო საგნების პროგრამებში. კვლევებისა და ექსპერიმენტების ჩატარების უნარები მათ უვითარდებათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაკვეთილებზე. საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებების საგნების ფარგლებში ისინი ეცნობიან დოკუმენტზე, წყაროზე მუშაობის მეთოდებს და მათ შედარებით ანალიზს, ინფორმაციის მოძიების ხერხებს, შეკითხვის დასმის ტექნიკებს.

სემესტრში ერთხელ მოსწავლეები ზემოთ აღნიშნულ საგნებში ირჩევენ პრობლემურ საკითხს და ხელმძღვანელ მასწავლებელთან ერთად ამუშავებენ. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს მოეთხოვებათ კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენება (გამოკითხვა, ინტერვიუ, ბუნებრივი დაკვირვება, ფოკუსირებული დაკვირვება, როგორც რაოდენობრივი ასევე თვისობრივი მეთოდები). ხოლო მიღებული შედეგის საფუძველზე პრობლემის გადაჭრის გზების განსაზღვრა. თითოეული პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ პრეზენტაციას (აუცილებლად რეფლექსიით) საგნობრივი კათედრების მასწავლებელთა ჯგუფის წინაშე.

პროექტზე მუშაობა შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

- პროექტზე მუშაობის წესების გაცნობა;
- პროექტის მოთხოვნებს და შეფასების რუბრიკების გაცნობა;
- მოსწავლის მიერ მისთვის საინტერესო სფეროდან საკვლევი საკითხის შერჩევა;

მოსწავლეებისა და მასწავლებლის/მასწავლებლების მიერ პროექტის საკვლევი საკითხის განხილვა;

ერთობლივად პროექტის სამოქმედო გეგმის შედგენა;

შესრულებული დავალებების წარდგენა გეგმის მიხედვით;

დავალებების პლაგიატზე შემოწმება;

პრეოექტის შედეგების პრეზენტაცია კომისიის წინაშე.

პროექტებზე მუშაობის ეს ციკლი ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევის, პრობლემის გადაჭრის, ტრანსფერის უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენებას და შესაბამისი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ასევე მნიშვნელოვანია აკადემიური კეთილსინდისიერება. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს უვითარდებათ აკადემიური კეთილსინდისიერების აღქმა, რაც ამერიკული სტანდარტების მიხედვით ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომელსაც სკოლა უდიდეს ყურადღებას აქცევს. სკოლას აქვს შემუშავებული აკადემიური კეთილსინდისიერების წესი, რომლის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ მეცნიერულ დონეზე ნამუშევრების შესრულება, სანდო წყაროების მოძიება და დაფიქსირება, პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ნაშრომზე და სხვისი ნაშრომის აღიარება/პატივისცემა. ამ მიზნით საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაციები, დისკუსიები. სკოლის მიერ ასევე გამოიყენება პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა, რომლის მიზანიც პლაგიატის აღმოჩენაა. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს პროგრამის შესახებ.

2022/2023 სასწავლო წლიდან ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა- კოლეჯ პროგრესში ამერიკული საერთაშორისო სკოლის პროგრამის ფარგლებში დაინერგება AP Capstone სადიპლომო პროგრამა, რომელიც გულისხმობს 7 AP საგნიდან (AP Language Art and Composition, AP American History, AP Macro/ Micro Economics, AP USA Government and Politics, AP Human Geography, AP Calculus, AP German Language and Culture) 4 არჩევას და სწავლას თითოეული მოსწავლის მიერ. ამ საგნებს სწავლება მე-11 და მე- 12 კლასებში იგეგმება. ეს პროგრამა მოსწავლეებს განუვითარებს პრობლემის იდენტიფიცირების, ინფორმაციის მოძიების, მისი დახარისხებისა და გაანალიზების, საკვლევი კითხვების დასმის, უნარებს. კვლევაში მოსწავლეები განსაზღვრავენ პრობლემურ საკითხს და სამეცნიერო კვლევას ყველა მოთხოვნის დაცვით წარმართავენ. ეს აძლევს საშუალებას მოსწავლეებს კვლევითი უნარ-ჩვევების აზროვნების განვითარებაში, რაც საუნივერსიტეტო განათლების მიღებისას ერთერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ამერიკული უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს თითოეული მოსწავლისათვის კვლევისა და პრობლემების

გადაჭრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, აძლევს მათ ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროექტები • საგნობრივი კურიკულუმები; • აკადემიური კეთილსინდისიერების წესი • ლაბორატორიული ცდის ოქმი • ცდის დამადასტურებელი ფოტომასალა • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4. უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ „პროგრესში“ სასწავლო პროცესში მთელი სასკოლო საზოგადოების ჩართულობაა გათვალისწინებული. სასწავლო წლის ბოლოს განიხილება სასკოლო სასწავლო გეგმის შედეგები, ხდება პროცესის ანალიზი და რეკომენდაციების გაზიარება. ასევე განიხილება შეფასების სისტემა, ყველა საგნობრივ კათედრაზე ხდება შეფასების განხილვა გადახედვა და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება.

კლასის დამრიგებლების მიერ დაგეგმილი განრიგის მიხედვით ტარდება მშობელთა კრებები (სასწავლო წლის დასაწყისში, სემესტრების ბოლოს, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითაც). ახალ გადმოსულ მოსწავლეებთან(წლის ნებისმიერ დროს) საორიენტაციო/სარეკომენდაციო ტიპის შეხვედრები იგეგმება და ტარდება ინდივიდუალურად. როგორც სასწავლო წლის განმავლობაში ასევე დასასრულს თითოეული მშობლისა და მოსწავლისათვის ინდივიდუალური შეხვედრები იგეგმება და ტარდება, სადაც განიხილება მოსწავლის აკადემიური მოსწრება, უკუკავშირი კეთდება, როგორც დამრიგებლის, ასევე მასწავლებლის მიერ.

თითოეულ მშობელს სასწავლო წლის განმავლობაში საშუალება აქვს სასკოლო სასწავლო გეგმისა და მისი მიზნების შესახებ აზრი გამოთქვას, რის შემდეგაც სკოლის დირექცია გაზიარებულ მოსაზრებებს აცნობს საგნობრივ კათედრებს აანალიზებს და აკეთებს უკუკავშირს.

ამერიკული საერთაშორისო უმაღლესი სკოლა-კოლეჯი პროგრესი აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალ Edupage-ს. სადაც ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს აქვს საკუთარი პროფილი და ხედავს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

სკოლაში წელიწადში ორჯერ ტარდება გამოკითხვები, რომელებიც პირის იდენტიფიცირებას გარეშე. სასკოლო საზოგადოებას ეგზავნებათ კითხვარები სასკოლო კულტურასთან დაკავშირებული პრობლემების დასადგენად და გასაანალიზებლად. კითხვარი სკოლის ცხოვრების ყველა მიმართულებას მოიცავს, რაც ეხმარება სასწავლო გეგმის შეფასებაში.

ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯში 2021 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (PTA), რომელსაც ჰყავს კოორდინატორი და თითოეული კლასის წარმომადგენელი მშობელი. საბჭო იკრიბება პერიოდულობით, ეცნობა სკოლის სიახლეებს, გამოწვევებს, გეგმებს, განიხილავს პრობლემურ საკითხებს, გეგმავს ღონისძიებებს სხვადასხვა მიმართულებით. მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია ჩართულია სკოლის ცხოვრებაში. ეს არის ის რგოლი, რომელიც ეხმარება სკოლას და მშობელს მოსწავლეზე შეთანხმებულად, კოორდინირებულად ზრუნვაში. რაც ხელს უწყობს სკოლაში ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა • 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმის პროექტი • სკოლის შეფასების დოკუმენტი • საგნობრივი კათედრების დებულება • პროგრამის გზამკვლევი • მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის პრეზენტაცია. • ელექტრონული ჟურნალი • კოვიდრეგულაციების დოკუმენტები • Cognia-ს აკრედიტაციის რეკომენდაციები • კლასგარეშე აქტივობის კალენდარი • მშობელთა და მასწავლებელთა კითხვარების ნიმუშები(ლინკები) • მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის დებულება • მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის შეხვედრის ფოტო მასა • თანამდებობრივი აღწერილობები. • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1. დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებულად ხორციელდება და არსებობს დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკულ საერთაშორისო უმაღლეს სკოლა-კოლეჯ პროგრესში სასწავლო პროცესი ორგანიზებულად მიმდინარეობს. წინასწარ განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი რესურსები: სახელმძღვანელოები, ნაბეჭდი და ელექტრონული მასალები, ლაბორატორიები, ტექნოლოგიური საშუალებები და სხვა.

სკოლის ბიბლიოთეკა შენობის პირველ სართულზეა განლაგებული, სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს აქვს მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება. სკოლის მიზანია, ხელი შეუწყონ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასწავლო პროცესის განხორციელებასა და მიზნების მიღწევაში. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომის დღის განმავლობაში და აქვს მზაობა სხვადასხვა შეხვედრებისა თუ აქტივობების განსახორციელებლად. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მკითხველებს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული რესურსებით. სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 1750-მდე ბეჭდური რესურსი სხვადსხვა ენაზე. ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითხველო და კომპიუტერულ სივრცეებს.

აკრედიტაციის პროცესში 2019 წელს Cognia-ს რეკომენდაციების მიხედვით, სკოლას გასაუმჯობესებელი ჰქონდა ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების საკითხი სწავლა-სწავლების პროცესში და ყოველდღიურ საქმიანობაში პროფესიული პრაქტიკის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების და ორგანიზაციული ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. რეკომენდაციის შესასრულებლად, სკოლამ შეიმუშავა ტექნოლოგიების განვითარების გეგმა, რომლის შესაბამისადაც სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობები, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, განივითარონ 21-ე საუკუნის უნარები.

სკოლის მასწავლებლებს წვდომა აქვთ საგნობრივად აუცილებელ ციფრულ რესურსებზეც. წლის მანძილზე მათ უტარდებათ ტრენინგი საჭირო კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად.

მოსწავლეებს ემსახურება ICT ლაბორატორია, რომელიც ხელს უწყობს ელექტრონული ტექნოლოგიების სწავლების პროცესს. ტექნოლოგიების ჯგუფის საგნების გარდა აღნიშნულ ლაბორატორიებში მოსწავლეებს უტარდებათ სხვადასხვა შეხვედრა, დამატებითი მეცადინეობა.

ლაბორატორია ინტეგრირებულია სკოლის მიერ პროექტებზე დაფუძნებული სწავლების ნაწილში და STEM-ის მიმართულებით პრაქტიკული პროდუქტების შექმნის მიმართულებით. მოსწავლეები ლაბორატორიაში სწავლობენ საგნების დაპროექტებასა და მათ შექმნას პერსონალური ინტერესების მიხედვით ან უკვე არსებული მოდელების შესაბამისად. სკოლის სასწავლო გეგმის მიხედვით, I-VI კლასის მოსწავლეებს ლაბორატორიაში უტარდებათ STEM-ისა და მომავლის პროფესიის გაკვეთილები, ხოლო VII-XII კლასებს იმავე მიმართულებით დაგეგმილი აქტივობები, სადაც ინჟინერიისა და კომპიუტერული პროგრამირების საწყისების დაუფლების საშუალება ეძლევათ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლისას მოსწავლეებს წვდომა აქვთ ტექნოლოგიებით და რესურსებით აღჭურვილ ლაბორატორიებზე. საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები აღჭურვილია როგორც ვიდეო მასალით, ასევე გამადიდებელი ხელსაწყოებით – ლუპებით, მიკროსკოპებით, ელექტრონული სასწორებითა და სხვა საშუალებებით, რაც პროცესებზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს.

საგაკვეთილო ცხრილი შედგენილია იმგვარად, რომ საბუნებისმეტყველო თუ ტექნოლოგიების მიმართულების საგნები ტარდება ლაბორატორიებში, ლაბორატორიულ რესურსებზე რეგულარული წვდომის უზრუნველყოფის მიზნით.

სკოლის საკლასო ოთახებში გადანაწილებულია ტელევიზორები, პროექტორები და Smart დაფები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეებს მიეწოდება ვიზუალურად გამდიდრებული ინფორმაცია. Smart დაფები არის ლაბორატორიებში და დაწყებით კლასებში.

სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის სკოლა იყენებს ელექტრონული მართვის სისტემას Edupage. თითოეულ მასწავლებელს, მოსწავლეს და მშობელს შექმნილი აქვს საკუთარი პროფილი და აქვს წვდომა საჭირო ინფორმაციაზე. მასწავლებლები ელექტრონულად აძლევენ მოსწავლეებს დავალებებს და აფასებენ მათ, მოსწავლეებს შეუძლიათ ელექტრონულად ატვირთონ დავალება სისტემაში და გაეცნონ საკუთარ ქულებს. მშობელს წვდომა აქვს საკუთარი შვილის ქულებზე, დავალებებსა და მასწავლებლის კომენტარებზე. ელექტრონულ ჟურნალში ხდება მოსწავლის დასწრების აღრიცხვაც. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორგანიზებულად ხორციელდება და არსებობს დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ბიბლიოთეკის დებულება • ელექტრონული ბიბლიოთეკის გზამკვლევი • მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი • ლაბორატორიების მუშაობის განრიგი (edupage-დან) • სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯის კურიკულუმი/ საგნობრივი გეგმები შექმნილია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. სკოლის მიზანია მოსწავლეები ისეთი ცოდნითა და უნარებით აღიჭურვონ, რომლებიც მათ შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებაში დაეხმარება. მასწავლებლების კათედრების მიერ ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით შედგენილია კურიკულმები, რომელებიც ეფუძნება Common Core და Next Generation სტანდარტებს და კურიკულუმშივე გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში წარმოდგენილ საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაც. საგნობრივ გეგმებს დანართის სახით ახლავს, შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები. თემების მიხედვით წარმოდგენილია ის სტანდარტები, რომელთა დაფარვის შესაძლებლობას თემის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები იძლევა. თემების დასრულების შემდეგ მასწავლებლები განიხილავენ შედეგებს მოსწავლეთა საჭიროებების კონტექსტში.

მასწავლებლები იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მიდგომებსა და ტექნიკებს, ვიზუალურ(სქემები, გრაფიკები, ცხრილები, სურათები), ვიდეო და აუდიო დამხმარე რესურსებს, მოსწავლეთათვის განსხვავებული ხერხებით ინფორმაციის გადასაცემად.

სკოლა ცდილობს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას, რათა მოსწავლეებს ხელი შეუწყონ მოტივაციასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი პროგრესის მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიების სხვადასხვა აქტივობის ჩასატარებლად, რაც ხელს უწყობს ციფრული კომპეტენციების განვითარებას.

დიფერენცირებული სწავლება და ინდივიდუალური მიდგომა პროგრამის ძლიერი მხარეა. მოსწავლის შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზებისა და მათი სწავლის შედეგების მრავალმხრივი შეფასებისათვის მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს მოსწავლეთა მიღწევებს, გამოვლენილ პრობლემებსა და საჭიროებებს. ყოველივე ეს ემსახურება მოსწავლის მხარდასაჭერად და შედეგების გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია პროექტებით სწავლება PBL, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

- შესავალი ღონისძიებები;
- შებრუნებული საკლასო ოთახი;
- გარესამყაროსთან ინტერაქცია;
- გუნდის ფორმირება;
- კოლაბორაციული მუშაობა;
- პროდუქტის შექმნა და წარდგენა.

სწავლების ამ მიდგომას სკოლა იყენებს სწავლების სამივე საფეხურზე.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაზე, რომელიც მათ წარმატებას უზრუნველყოფს. ყოველივე ეს კი ნათლად ჩანს საგნობრივ კურიკულუმებში, მეთოდებსა თუ აქტივობებში რომელსაც მასწავლებლები იყენებენ საგაკვეთილო პროცესში და დაველებების შინაარსში.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ სასწავლო პროცესის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, რომელიც მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- Common Core და Next Generation სტანდარტები
- კურიკულუმები
- პროექტები
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯის შეფასების მიზანი მოსწავლის დახმარება და მხარდაჭერაა, რისთვისაც სკოლა შეფასების ჰოლისტური მიდგომებს იყენებს. ჰოლისტური მიდგომის დასანერგად აუცილებელია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში და უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შეფასების მეთოდები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების წარმოჩენა, დემონსტრირება. შეფასების კომპონენტები ითვალისწინებს Common Core და Next Generation სტანდარტების მოთხოვნებს. გაწერილია შეფსების რუბრიკები, საგნების კლასების, კომპონენტების მიხედვით, თითოეული ქულის შესაბამისი განმარტებებით.

საბოლოო შეფასება შედგება სხვადასხვა კომპონენტისგან (საკლასო სამუშაო, საშინაო დავალება, ესსე, თემის შემაჯამებელი, საშინაო დავალების გამოსაკითხი ტესტი, შემაჯამებელი ესსე, პროექტი, შუალედური და ფინალური წერები/გამოკითხვები, ლაბორატორიული სამუშაო, პორტფოლიოები) და განმარტებულია საგნობრივ პროგრამებში. მიღებული ქულა შედის მოსწავლის განმსაზღვრელ შეფასებაში. 2022-2023 სასწავლო წლისათვის წარმოდგენილია ფინალური გამოცდების ჩატარების წესის პროექტი. წესის მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ხოლო ფინალური გამოცდის ჩატარების მიზანია როგორც ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, ისე მოსწავლის მიერ ამ ცოდნის გამოყენების უნარების, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, აღწერისა და შეფასების უნარების შემოწმება. ასევე მისი მიზანია მთელი სემესტრის მანძილზე თითოეული მოსწავლის აქტიურად ჩართვა სასწავლო პროცესში და მისი ცოდნის დონის ამაღლება. ფინალური გამოცდები ჩატარდება მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების ყველა საგანში, გარდა ქართული ენა და ლიტერატურა, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და სპორტისა. გამოცდაზე მიღებულ შეფასებას მოსწავლის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშებისას ექნება 30% (პროცენტი). საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშება მოხდება შემდეგი სქემით: სემესტრის განმავლობაში მიღებული ნიშნების (საკლასო, საშინაო, შუალედური წერები/გამოკითხვები) ჯამს (70%) + ფინალური გამოცდის ნიშანი (30 %) = სემესტრულ ქულას. ფინალური გამოცდა ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ყველა საგნის უმაღლესი ქულა არის 100. მოსწავლეს საგანი ჩაბარებულად ეთვლება, თუ სემესტრის მანძილზე 51 ქულა მაინც დააგროვა. ქულების გამოანგარიშების სკალა წარმოდგენილია შეფასების დოკუმენტში.

სემესტრის ბოლოს, მოსწავლის ქულების მიხედვით შედგება მისი ნიშნების ფურცელი (Report Card). ორი სემესტრის ქულის საშუალოთი კი გამოითვლება მოსწავლის საბოლოო ქულა თითოეულ საგანში, რაც აისახება საბოლოო ტრანსკრიპტში. ტრანსკრიპტში მოცემული იქნება მოსწავლის GPA (Grade Point Average - საშუალო აკადემიური შეფასება), რომელიც 4.0 ბალიანი სკალით გამოითვლება და ეფუძნება მოსწავლის მიერ ამერიკულ სკოლაში სწავლების პერიოდში მიღებულ ყველა საბოლოო ქულას.

განმსაზღვრელი შეფასების გარდა, მოსწავლეებს წლის მანძილზე ეძლევათ განმავითარებელი შეფასება, მასწავლებლების კომენტარები.

განმავითარებელ კომენტარებს მასწავლებლები მოსწავლეებს გაკვეთილზე ვერბალურად და წერილობით ჟურნალის საშუალებით აწვდიან. განმავითარებელი შეფასების შემადგენელი ნაწილია მოსწავლეების თვითშეფასება, მოსწავლეების მიერ ურთიერთ

შეფასება, რაც გარდა შეფასების და ანალიზის უნარისა კონსტრუქციული და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს განავითარებს.

მოსწავლეები წლის განმავლობაში შეფასდებიან Measure of Academic Progress (MAP - აკადემიური პროგრესის გაზომვა) გამოცდებით ინგლისურ ენასა (კითხვა და გრამატიკა) და მათემატიკაში. MAP ტესტირება ჩატარდება ელექტრონულად. გამოცდების დასრულების შემდეგ, სკოლა მიიღებს თითოეული მოსწავლის უნარების და ცოდნის დამადასტურებელ სრულფასოვან შეფასებას Common Core სტანდარტებთან მიმართებაში.

სკოლა იყენებს Cognia-ს ეფექტურ სასწავლო გარემოს დაკვირვების მეთოდს (ELEOT), რომელიც არის მოსწავლეზე ორიენტირებული საკლასო დაკვირვების საშუალება, მასში შედის 28 კომპონენტი, გაერთიანებული შვიდ გარემოში, Cognia-ს სტანდარტების შესაბამისად. საკლასო დაკვირვებები ტარდება მინიმუმ 20 წუთის განმავლობაში. კვალიფიციური და სერტიფიცირებული დამკვირვებლები ამოწმებენ პროცესების დანერგვის, ხარისხის და კომპლექსურობის დონეს; მონაწილე მოსწავლეების რაოდენობას და გამოყენების ინტენსივობას. ELEOT-ის შედეგები ფიქსირდება ერთიდან ოთხ ქულამდე შეფასების სკალაში. დაკვირვების შედეგებთან ერთად, ფიქსირდება გასული წლის ყველა დაკვირვების საშუალო მაჩვენებელი, შედეგების შესადარებლად. ELEOT უზრუნველყოფს გამოსადეგ, რელევანტურ, სტრუქტურირებულ და რაოდენობრივ მონაცემებს, რამდენად არიან მოსწავლეები ჩართულნი აქტივობებში ან/და ავლენენ ცოდნას, მიდგომებს, პოზიციებს, რაც მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის. ELEOT შეფასებას სკოლის მასწავლებლები აწარმოებენ, რომლებიც ონლაინ კურსის გავლის შემდეგ სერტიფიცირებულნი არიან Cognia-ს მიერ.

შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- Common Core და Next Generation სტანდარტები
- შეფასების დოკუმენტი
- ფინალური გამოცდის ჩატარების წესის პროექტი;
- კურიკულუმები
- MAP ტესტირების შედეგების ანალიზი
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4. მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლის მოსწავლეთა შეფასება ყოველდღიურია საგაკვეთილო ცხრილით გათვალისწინებულ ყველა საგანში. სასწავლო წლის დასაწყისში, მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს შეფასების იმ კრიტერიუმებს და რუბრიკებს, რომლებითაც მოხდება მათი შეფასება კონკრეტულ საგანში. მოსწავლეები მსჯელობენ შეფასების კომპონენტებზე, იაზრებენ რა მოეთხოვებათ მათ და შესაბამისად გეგმავენ სწავლის პროცესს. მასწავლებლები ასევე განუმარტავენ მოსწავლეებს,

თუ რა სახის დავალებები ექნებათ მათ შესასრულებელი საკლასო და საშინაო სამუშაოების დროს და როგორ მოხდება კონკრეტული კომპონენტის შეფასება. სკოლა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვას, ამ მიზნით მშობლებს ეგზავნებათ ინფორმაცია სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის, რომელიც სრულად მოიცავს იმ საგნებსა თუ შეფასების სისტემას რასაც სთავაზობს სკოლა. ასევე პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს. როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე კვირის ბოლოს, სკოლის ელექტრონულ ჟურნალში Edupage მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს უკეთებენ განმავითარებელ კომენტარს მათი წარმატებისა თუ წარმოქმნილი პრობლემის შესახებ. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და ჩატარებული ინტერვიურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ელექტრონული ჟურნალის სურათები • მოსწავლეთა თვითშეფასება ფორმა (ნიმუში) • სკოლის თვითშეფასების ანგარიში; • სასკოლო საზოგადოების ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐

3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის განვითარების საჭიროებები, მოსწავლეს შეუძლია მიიღოს მისი მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაცია და დახმარება.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ „პროგრესში“ შექმნილია მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი ახორციელებს

ღონისძიებებსა და აქტივობებს მოსწავლეთა მხარდაჭერის, სირთულეების ინდენტიფიცირებისა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის მიზანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა, მოსწავლის დახმარება ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლეთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა, მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფში ჩართულნი არიან მოსწავლეთა მხარდაჭერის კონსულტანტი, კათედრის ხელმძღვანელები, დამრიგებლები, ფსიქოლოგი, ექიმი, სასწავლო პროცესის მენეჯერი. ჯგუფის მიერ ხდება პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზი, საჭიროებების დადგენა, ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება.

სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელთაც დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა ესაჭიროებათ, სასწავლო პროგრამის დაძლევის მიზნით, მიმდინარეობს დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობები სპეციალურად შედგენილი განრიგის მიხედვით. მაგალითად, ხელშეწყობა სჭირდებათ მოსწავლეებს სხვადასხვა საგანში ან/და უცხოეთიდან არიან ჩამოსული და არ აქვთ გავლილი საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია;

სკოლა, იმ მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ ენობრივი ბარიერი ქართულსა და ინგლისურ ენებში, სთავაზობს დამატებით გაკვეთილებს, რათა მოსწავლეებმა დახვეწონ ენობრივი კომპეტენცია და მიაღწიონ წარმატებას სწავლაში.

სკოლის მიზანია ინკლუზიური აკადემიური გარემოს უზრუნველყოფა, სადაც თითოეული მოსწავლის საჭიროებებია გათვალისწინებული. სკოლის ფსიქოლოგი მუშაობს საგნის მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან ერთად, რათა მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ისინი აკვირდებიან მოსწავლეთა ქცევას საგაკვეთილო პროცესში და ზრუნავენ მოზარდთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლადგადმოსული მოსწავლეების ინტეგრირების ხელშეწყობას.

სკოლაში მიმდინარეობს აქტივობები არაფორმალური განათლების მიმართულებით. ფუნქციონირებს მედია კლუბი (VII-XII), ინტელექტუალური კლუბი „რა? სად? როდის?“ (III-XI), დებატების კლუბი (VII-XII), ბიზნეს კლუბი (VII-XII), STEM კლუბი (VII-XII), ეკო კლუბი (III-XI), სამაგიდე თამაშების კლუბი (III-IX). საკლუბო მუშაობით მოსწავლეთა დაინტერესება მაღალია,

რადგან ეძლევათ შესაძლებლობა ინტერესების გასაღრმავებლად და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, · დამატებითი ინდივიდუალური გაკვეთილების განრიგი, · კლუბების აღწერა, · კლუბების მუშაობის ანგარიში, · მოსწავლეთა ინტერვიუირება, · მშობელთა ინტერვიუირება, · მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან ინტერვიუირება.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეებს მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატების მისაღწევად. სკოლაში არის კოლეჯ-კონსულტირების პრაქტიკა. კოლეჯ-კონსულტირების კოორდინატორი გეგმავს და ახორციელებს მოსწავლეებისთვის კარიერული განვითარების ღონისძიებებს, უწევს მათ დახმარებას კოლეჯის შერჩევისა და განაცხადის წარდგენის ეტაპზე. აწვდის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაციას არსებული საგანმანათლებლო ალტერნატივების შესახებ. ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა კოლეჯი „პროგრესი“ 2022-2023 სასწავლო წლიდან გეგმავს სავალდებულო დამატებითი საგნების შეთავაზებას მოსწავლეებისთვის. კერძოდ, არჩევითი Advanced Placement (AP) საგნები აძლევს მოსწავლეს საშუალებას გამოიმუშავოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისთვის აუცილებელიუნარ-ჩვევები. AP საგნების გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში კი მოსწავლე საერთაშორისო უნივერსიტეტებში მიღების დროს უპირატესობით სარგებლობს. სკოლაში აღნიშნული შესაძლებლობის შექმნა და შეთავაზება მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევას. ამჟამად სკოლაში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სასწავლო კურიკულუმებზე შემდეგ საგნებში: AP Algebra, AP Macro/Micro Econimics, AP language art and composition, AP Spanish, AP American History. სკოლის მოსწავლეებს გასული სასწავლო წლების განმავლობაში ჰქონდათ შესაძლებლებლობა აღნიშნული საგნები შეესწავლათ დამატებითი მომსახურების ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · სასკოლო სასწავლო გეგმა, · მოსწავლეებთან გასაუბრებით, · ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3. მოსწავლეებს აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება, დაწესებულება ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებასა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა მიერ ინიციატივის გამოვლენა, მსჯელობა არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. სკოლის დირექცია მხარს უჭერს მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობას. მოსწავლეთა თვითმმართველობა ჩართულია სასკოლო აქტივობების ინიცირებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში. ეს პროცესები ხელს უწყობს მოსწავლეებს, გამოიჩინონ შემოქმედებითობა, დაძლიონ სიძნელეები, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ

გადაწყვეტილებაზე, შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სასკოლო კლუბების ხელშეწყობით ხორციელდება ღონისძიებები სკოლაში თუ სკოლის გარეთ. მოსწავლეები ჩართულები არიან სასკოლო ღონისძიებების ორგანიზებასა და წარმართვაში. თვითმმართველობისა და მედია კლუბის ინიციატივით გამოდის სასკოლო გაზეთი The progress paper ბეჭდური და ციფრული ფორმით. მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობენ გაზეთის როგორც შინაარსობრივ ნაწილზე ისე დიზაინზე. თვითმმართველობის ინიციატივით ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები. 2022 წლის იანვრიდან მუშაობს ორი ახალი სასკოლო კლუბი: ეკო კლუბი და სამაგიდო თამაშების კლუბი. მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში, საერთაშორისო კონკურსებში, თანამშრომლობენ ისეთ ორგანიზაციებთან როგორებიცაა Diamond Challenge, Junior Achievement Georgia. 2021 წელს პირველი ადგილი დაიკავეს კონკურსში „ინოვაციების ბანაკი“. კონკურსში Youth Startup 2019 წელს „პროგრესის“ მოსწავლეებმა მეორე ადგილი და ჟიურის რჩეულის ჯილდო დაიმსახურეს. 2021 წელს მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს საერთაშორისო საჯარო მეტყველების კონკურსში English Speaking Union Competition. 2021 წლის მარტში სკოლის მოსწავლეებმა გაიმარჯვეს საქართველოს ბანკის, ფინედუსა და Global Money Week-ის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ფული და ფულის სამყარო“. 2022 წლის მარტში სკოლის თვითმმართველობა გეგმავს „თვითმმართველობის დღეს“. კერძოდ, მოსწავლეები შეთავსებენ სკოლის ადმინისტრაციის ფუნქციებს. მოსწავლეები განივითარებენ ორგანიზაციული, სიტუაციური ლიდერობის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების, ეფექტური კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · კლასგარეშე აქტივობების კალენდარი, · მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, · მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმა, · მოსწავლეთა თვითმმართველობის გაზეთი, · ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან“, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შპს „პრაიმ სთადი“, ორგანიზაცია Heavenly Culture, World Peace, Restoration of light, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი · სასკოლო გაზეთი THE PROGRESS PAPER, · გასაუბრება მოსწავლეებთან.

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
3. მოსწავლეების მიღწევები, მათთან	☒	☐	☐	☐

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1. საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი მონაწილეობს მათი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი მონაწილეობს მათი საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. სკოლისთვის მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული რგოლისა და სხვა დამხმარე პერსონალის პროფესიული ზრდა-განვითარება. სკოლის თითოეულ თანამშრომელს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების ღონისძიებებსა და აქტივობებში. თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში შემუშავებულია პროფესიული განვითარების დოკუმენტი. პროფესიული განვითარების გეგმის შედგენას ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მენეჯერი. პროფესიული განვითარების გეგმა მუშავდება და იქმნება ყოველწლიურად. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიკაცია ხდება გაკვეთილებზე დასწრების, თვითშეფასების და კითხვარების გამოყენებით. მასწავლებლები მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში, ასევე, სკოლაში ჩატარებულ ტრენინგებში. მასწავლებლების შეფასებისა და შედეგების ანალიზისთვის გამოიყენება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკა. სემესტრის ბოლოს ხდება გაკვეთილზე დასწრების შედეგების ანალიზი, შეფასება და ტრენინგების დაგეგმვა. სკოლის პრაქტიკაა სკოლის გამოცდილი მასწავლებლების დასწრება ახალადმიღებული კოლეგის გაკვეთილზე. დამწყებ მასწავლებელს ეხმარებიან გაკვეთილების დაგეგმვაში, სკოლის მუშაობის პრინციპების გაცნობასა და სასკოლო გარემოში ადაპტაციაში.

სკოლა შეისწავლის და ითვალისწინებს მასწავლებელთა საჭიროებებს. მასწავლებელთა გამოკითხვით გამოიკვეთა სურვილი, გაეუმჯობესებინათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი სწავლების პროცესში. მოთხოვნის შესაბამისად სკოლამ დაგეგმა ტრენინგები სხვადასხვა ციფრული საშუალებების გამოყენების ასათვისებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · თანამშრომელთა შეფასების სისტემა · პროფესიული განვითარების გეგმა · ELEOT-ის დაკვირვების ინსტრუმენტები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სასწავლო რესურსები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და „საერთო ძირითადი სტანდარტების“ (Common Core State Standards) შესაბამისი სასწავლო რესურსები. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევაში ჩართულნი არიან საგნობრივი კათედრები, ბიბლიოთეკარი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დირექტორი. მოსწავლეებსა და მასწავლებელებს აქვთ თანაბარი წვდომა სასწავლო რესურსებზე. ბიბლიოთეკაში მოცემულია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები. ციფრულ რესურსებზე წვდომა მომხმარებლებს სკოლის გარეთაც აქვთ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1750-მდე ბეჭდური რესურსი მრავალ ენაზე; აგრეთვე, სასწავლო პროცესში გამოიყენება შემდეგი ელექტრონული-სამეცნიერო ბაზები: https://www.britannica.com/ https://www.learninga-z.com/ https://www.jstor.org/ https://www.turnitin.com/ https://www.khanacademy.org/ https://www.ixl.com/ https://fedsso.yum.com/fedApps/lz/login.html https://www.ereadingworksheets.com/ · ონლაინ ელექტრონული ლექსიკონები (18 ვებ-გვერდი);

- პლაგიატის ამოცნობის პროგრამა https://www.duplichecker.com/

სკოლაში დანერგილია STEM განათლება, მომავლის პროფესიების სწავლება, PBL-სწავლება. სკოლაში ფუნქციონირებს STEM ლაბორატორია და კომპიუტერული ლაბორატორია. STEM განათლება უზრუნველყოფს ტექნოლოგიური, საინჟინრო, ხელოვნების და მათემატიკის დისციპლინების მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას, პრობლემის გადაჭრის შემოქმედებით და ინოვაციური მიდგომების უნარების განვითარებას, მოსწავლეთა მომზადებას ტექნოლოგიურად სწრაფადცვალებად სამყაროში სიახლეების და ცვლილებების გაანალიზებისთვის და კავშირის აღქმას სასწავლო პროცესსა და მომავალ კარიერას შორის.

სკოლაში შექმნილია ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი. ჯგუფის მიერ დაგეგმილია და ნაწილობრივ განხორციელდა სხვადასხვა ტექნოლოგიური აქტივობა, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განივითარონ ციფრული წიგნიერება და შესაბამისი უნარები. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისთვის სკოლა გეგმავს უახლესი ციფრული საგანმანათლებლო ტექნოლოგიები დანერგვის ხელშეწყობას.

სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განკუთვნილია მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის. საკლასო ოთახებში დამონტაჟებულია პროექტორები და ტელევიზორები. სკოლის ტერიტორია უზრუნველყოფილია უკაბელო Wi-Fi ტექნოლოგიით.

სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობა:

1. კომპიუტერი - 28
2. ლეპტოპების -26
3. პროექტორი - 15
4. SMART დაფა- 3
5. ისტ ლაბორატორია- 1
6. STEM-ლაბორატორია -1
7. ტელევიზორი -13
8. პრინტერი -8
9. ვებ-კამერა -14
10. დოკუმენტ კამერა -2
11. SMART მაგიდა - 2

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის დებულება,
- ბიბლიოთეკის გზამკვლევი,
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი,
- ლაბორატორიების გამოყენების გრაფიკი,
- სკოლის ტექნოლოგიური აღჭურვილობის ჩამონათვალი,
- ტექნოლოგიების განვითარების დებულება,
- ვიზუალური დათვალიერებით,
- მასწავლებლებთან გასაუბრებით,
- მოსწავლეებთან გასაუბრებით,
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. სკოლას შემუშავებული აქვს მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი სტატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლას შემუშავებული აქვს აღნიშნულ გეგმებში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმები. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს შპს ამერიკული უმაღლესი საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ პროგრესის განვითარების გეგმას 2022-2028 წლებისათვის. დოკუმენტში განსაზღვრულია სამომავლო გამოწვევები და შესაბამისი აქტივობები, ნაბიჯები მიზნის მისაღწევად. აღნიშნული ეფუძნება სკოლის მისიასა და ხედვას. 2022-2028 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებია: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება, მშობელთა ჩართულობა სასწალო-აღმზრდელობით პროცესში, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · ერთწლიანი სამოქმედო გეგმა · ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა · სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების

მექანიზმი, · ტექნოლოგიების დებულება, · თანამდებობრივი ინსტრუქციები, · ადმინისტაციასთან გასაუბრებით.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1. მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ამერიკულ უმაღლეს საერთაშორისო სკოლა-კოლეჯ „პროგრესში“ მოქმედებს ხარისხის ამაღლების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლს. უზრუნველყოფილია დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობა; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია განვითარების სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. 2022-2028 წლების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში ასახულია ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მისი შედეგები. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სკოლის სამოქმედო პრინციპებია გუნდური მუშაობა, თანამონაწილეობა და გამჭვირვალობა. სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარებელის ხელმძღვანელი. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე და სხვა. დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებაზე. ჯგუფი იკვლევს

სკოლის საჭიროებებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან.

სკოლის საჭიროებების იდენტიფიცირება ხდება მასწავლებელთა შეფასების შედეგების, მშობელთა გამოკითხვის, მოსწავლეთა გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე.

ექვსწლიანი გეგმის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია პოზიტიური სასწავლო გარემო, კვალიფიციური კადრები, ტექნოლოგიები, სწავლების თანამედროვე მეთოდები და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა, სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

გრძელვადიან გეგმაში გაწერილია მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე სკოლის განვითარების მიზნები და შესაბამისი ამოცანები გაწერილია შემდეგი მიმართულებით სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება, მშობელთა ჩართულობა სასწალო-აღმზრდელობით პროცესში, ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ასახავს სასწავლო წლის მანძილზე განსახორციელებელ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და ვადებს. 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში აქტივობები გაწერილია შემდეგი მიმართულებებით:

- სკოლის დოკუმენტაციის შემუშავება, სკოლის ორგანიზაციული განვითარება,
- სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლება,
- სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება,
- ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და სკოლის კომპიუტერიზაცია,
- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა,
- სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებითა და სწავლების ხელშემწყობი სხვა საშუალებებით,
- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა,
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში,

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება,
- სწავლებისა და აღზრდის საქმეში მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება.

სკოლაში მოქმედებს ტექნოლოგიების განვითარების დებულება. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების უზუნველყოფად შექმნილია ტექნოლოგიების განვითარების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მენეჯერი. ტექნოლოგიური განვითარების ჯგუფის მიზანია მასწავლებელთა ტექნოლოგიური უნარების განვითარება, მოსწავლეების ტექნოლოგიური უნარების და ციფრული მოქალაქეობის განვითარება, სკოლის უზრუნველყოფა თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსებითა და მოწყობილობებით.

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად, გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრებით და ადმინისტრაციის დასწრებით, სპეციალური ფორმების გამოყენებით (მასწავლებლის შეფასების სქემა, ELEOT ფორმა). პერიოდულად (ყოველი 2 კვირაში ერთხელ მასწავლებლები ადგენენ ანგარიშს, სადაც აღწერილია მათ მიერ ჩატარებული სამუშაო, რაც ეხმარება ადმინისტრაციას მიმდინარე პროცესების დაკვირვებაში.

ყოველი თვის ბოლოს სასწავლო პროცესის მენეჯერი სკოლის დირექტორს წარუდგენს ანგარიშს თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შესახებ. ყოველი სემესტრის ბოლოს, აკადემიური დირექტორი ან სასწავლო პროცესის მენეჯერი წარუდგენს სკოლის გენერალურ დირექტორს ანგარიშს დაგეგმილი და სემესტრის მანძილზე განხორციელებული ღონისძიებებისა.

სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარეობს: გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება, მოსწავლეთა მიღწევის ანალიზი, მოსწავლეთა და მშობელთა კითხვარების შედეგების ანალიზი, მასწავლებლების მიერ თვითშეფასების ფორმების წარმოება, პროფესიული განვითარებების აქტივობების შედეგებზე დაკვირვება და შემდგომი ნაბიჯების შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,
- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი,

- ტექნოლოგიების დებულება,
- სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- ELEOT დაკვირვების ფორმა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები;
- ინტერვიუირება მასწავლებლებთან,
- ინტერვიუირება დირექციასთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა-კოლეჯი „პროგრესი“ აკრედიტებულია საერთაშორისო მააკრედიტებელი ორგანოს - Cognia-ს მიერ 2019 წელს. Cognia-ს მიერ სკოლა შეფასდა სამი მიმართულებით: ლიდერობის კომპეტენცია, სწავლების კომპეტენცია და სასწავლო რესურსების მართვის კომპეტენცია. სკოლამ მიიღო დეტალური უკუკავშირი Cognia-ს სტანდარტების შესრულების ხარისხის შესახებ. აღნიშნულ შეფასების შედეგებსა და მონაცემებს სკოლა იყენებს შემდგომი გაუმჯობესებისათვის საჭირო აქტივობების განსახორციელებლად, ორგანიზაციის უწყვეტი განვითარებისათვის. განვითარების პრიორიტეტები ასახულია სკოლის ექვსწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში. სასწავლო წლის მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობს სასკოლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებისა და ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი აქტივობები. სასწავლო პროცესზე დაკვირვება ხორციელდება ELEOT (Effective Learning Environment Observation Tool - ეფექტურ სასწავლო გარემოზე დაკვირვების ფორმა) რუბრიკის გამოყენებით. გაკვეთილზე დაკვირვებას აწარმოებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და აგრეთვე, საგნის მასწავლებელები, რომლებმაც გაიარეს Cognia-ს ELEOT Certification ტრენინგი და ფლობენ ELEOT-ის დამკვირვებლის სერთიფიკატს. დაკვირვების შედეგები აისახება და მუშავდება ელექტრონულ პროგრამაში. ELEOT ფორმა არის დაკვირვების ინსტრუმენტი, რომელიც სასწავლო გარემოს აფასებს შემდეგი მიმართულებით: სამართლიანი სასწავლო გარემო, მაღალი მოლოდინების გარემო, მხარდამჭერი სასწავლო გარემო, აქტიური სასწავლო გარემო, პროგრესის მონიტორინგი და უკუკავშირის გარემო, კარგად უზრუნველყოფილი სასწავლო გარემო და ციფრული სასწავლო გარემო. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რაც ხელს უწყობს რეფლექსიას ჩატარებული სამუშაოს შესახებ და განვითარების გეგმის სწორად დასახვას.

სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების 360 გრადუსიანი კომპლექსური შეფასების მოდელი, რომელსაც გაუძღვება HR და ორგანიზაციის განვითარების რგოლი. დოკუმენტში გაწერილია გეგმა/პროექტი, თუ როგორ მოხდება თანამშრომელთა მრავალმხრივი შეფასება. ინფორმაციის საფუძველზე მოხდება პრობლემების იდენტიფიცირება და მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები · Cognia-ს აკრედიტაციის მოხსენება/ანგარიში, · თანამშრომლის 360 გრადუსიანი შეფასების მოდელი, · გასაუბრება ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

თანდართული დოკუმენტაცია

- 2022/23 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 50

თარიღი: 28.03.2022 წ